

შპს “მეიდან ჯგუფი”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერი

შპს „მეიდან ჯგუფი“

სარჩევი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
განმარტებითი შენიშვნები	7
ბოლო გვერდი	27


შპს მეიდან ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (ლარში)

აქტივები		31.12.2022	31.12.2021
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1,421,647	1,457,078
საინვესტიციო ქონება	5	37,265,115	37,509,611
არამატერიალური აქტივები	6	14,546	14,546
გრძელვადიანი ინვესტიციები	7	297,496	16,904,619
გრძელვადიანი მოთხოვნები	8	10,000	649,713
სულ გრძელვადიანი აქტივები		39,008,805	56,535,566
მოკლევადიანი აქტივები			
დარიცხული მოთხოვნები	9	13,921	178,048
საგადასახადო აქტივები	10	723,542	687,533
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	11	9,735	1,315
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	16,632,902	21,690,859
ფული და ფულის ექვივალენტები	13	31,183	57,240
სულ მოკლევადიანი აქტივები		17,411,283	22,614,995
სულ აქტივები		56,420,087	79,150,562
კაპიტალი და ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
დარიცხული ვალდებულებები	14	210,668	599,058
საგადასახადო ვალდებულებები	15	487,971	445,093
მოკლევადიანი სესხები	16	-	208,115
სავაჭრო და სვა ვალდებულებები	17	7,438,009	7,754,672
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		8,136,649	9,006,938
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	18	10,199,676	10,199,676
გაუნაწილებელი მოგება	18	26,881,350	31,894,608
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	18	(15,005,111)	1,841,815
გადაფასების რეზერვი	18	26,207,524	26,207,524
სულ კაპიტალი		48,283,439	70,143,624
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		56,420,087	79,150,562

ხელმოწერა პირი:



დირექტორი

10.10.2023

შპს მეიდან ჯგუფი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (ლარში)

		2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	19	3,105,590	2,003,558
რეალიზებული პროდუქციის თვითირებულება		-	(121)
საერთო მოგება		3,105,590	2,003,437
მიწოდების ხარჯები	20	(1,032)	(703)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	21	(1,377,518)	(1,382,048)
ცვეთა და ამორტიზაცია		(316,317)	(360,253)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	22	530,971	283,985
საოპერაციო მოგება/ზარალი		1,941,694	544,419
მიღებული დივიდენდი	23	29,000	20,000
არასაოპერაციო შემოსავალი	24	11,490	2,136,024
არასაოპერაციო ხარჯები	25	(16,607,123)	(413,926)
საპროცენტო შემოსავალი	26	15,505	45,450
საპროცენტო ხარჯი	27	(3,746)	(147,395)
მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	28	(391,932)	(342,757)
მოგება დაბეგრამდე		(15,005,111)	1,841,815
მოგების გადასახადი		-	-
სრული მოგება		(15,005,111)	1,841,815

ხელმოწერილი პირი:



დირექტორი

10.10.2023

შპს მეიდან ჯგუფი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	10,337,652	26,207,524	32,707,369	69,252,545
წმინდა მოგება/ზარალი	-	-	1,841,815	1,841,815
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	(812,761)	(812,761)
კაპიტალის ცვლილება	(137,975)	-	-	(137,975)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	10,199,677	26,207,524	33,736,423	70,143,624
ცვლილება საწესდებო კაპიტალში	-	-	(15,005,111)	(15,005,111)
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	(6,855,074)	(6,855,074)
პერიოდის მოგება/ზარალი	-	-	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	10,199,677	26,207,524	11,876,238	48,283,439

ხელმოწერილი პირი:



დირექტორი

10.10.2023

შპს ჰიგიენ სერვისი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (ლარში)

	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება გადასახადამდე	(15,005,111)	1,841,815
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	316,317	360,253
საკურსი მოგება/ზარალი(ნეტო)	(391,932)	(342,757)
მოგება/ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	(15,080,726)	1,859,312
ზრდა/შემცირება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	(8,420)	120
ზრდა/შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	5,057,957	(735,787)
ზრდა/შემცირება საგადასახადო აქტივებში	(36,009)	(62,974)
ზრდა/შემცირება საგადასახადო ვალდებულებებში	42,878	23,288
ზრდა/შემცირება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(316,663)	(614,446)
ზრდა/შემცირება დარიცხულ მოთხოვნებში	164,127	40,895
ზრდა/შემცირება დარიცხულ ვალდებულებებში	(388,389)	147,395
სამუშაო კაპიტალის ცვლილება	(10,565,245)	657,803
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(10,565,245)	657,803
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები ძირითად საშუალებებში	(280,886)	188,545
ცვლილებები არამატერიალურ აქტივებში	-	21,438
ცვლილებები გრძელვადიან ინვესტიციებში	16,607,123	(2,500)
ცვლილებები გრძელვადიან მოთხოვნებში	639,713	-
ცვლილებები საინვესტიციო ქონებაში	244,496	245,393
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	17,210,445	452,877
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ცვლილებები საწესდებო კაპიტალში	-	(137,975)
ცვლილებები მოკლევადიან სესხებში	(208,115)	(1,270,000)
დივიდენდები	(6,855,074)	(812,761)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(7,063,189)	(2,220,736)
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა	391,932	342,757
ფული და ფულის ექვივალენტების ზრდა/კლება	(26,057)	(767,300)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	57,240	824,540
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	31,183	57,240

ხელმოწერილი პირი:



დირექტორი

10.10.2023

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მეიდან ჯგუფი (შემდგომში - კომპანია) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს დასუფთავების სერვისის მიწოდება. იგი დაარსდა 2007 წლის 1 თებერვალს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 204523239. შპს მეიდან ჯგუფი არის უძრავი ქონების მართვისა და განვითარების კომპანია. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კომერციული ფართების იჯარით გაცემა. კომპანიის მეორე ძირითადი საქმიანობაა საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა უძრავი ქონების მართვის სფეროში

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელთა სტრუქტურა შემდეგია:

- 404541484, შპს მეიდანზე (75%)
- 404540671, შპს მეიდანია (25%)

კომპანია რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, კოტე აფხაზის ქ., N44
კომპანიის დირექტორი: 01017010344, ქეთევან ხუროძე

კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საოცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის. საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი

ანგარიშგების შესაბამისობა

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანია ზოგადად არ მოელოს, რომ მსს ფასს სტანდარტების 35.11 პუნქტის ფარგლებში განსახორციელებელი რომელიმე შესწორება არაპრაქტიკული იქნება კომპანიისთვის.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

კომპანიისთვის ეს არის პირველი აუდირებული დასკვნა.

ფუნქციონირებადი საწარმო

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

ბუღალტრული აღრიცხვის ამ პრინციპის გამოყენება შესაფერისია თუ ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციის შეწყვეტა, ან არ აქვს ასე მოქცევის რეალური ალტერნატივა. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ დავასკვნით, რომ ამ ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არის შესაფერისი. ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის ბიზნესი საქართველოში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკები ვრცელდება ამ ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგენილ ყველა პერიოდზე, თუ საწინააღმდეგო არ არის ნათქვამი.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისთვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის

შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. გადაფასება არ ეხება არამონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	31 დეკ 2022	31 დეკ 2021
1 USD/GEL	2.7020	3.0976
1 EUR/GEL	2.8844	3.5040

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები, საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი ხარჯები

შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

ცვეთა

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას. მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი:	მომსახურების ვადა:
შენობა-ნაგებობები	50-100 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	25-50 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 წელი
მანქანა-დანადგარები	5 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	2 წელი

სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და კორექტირდება საჭიროების შემთხვევაში.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

არამატერიალური აქტივები

• აღიარება და შეფასება. არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე საადრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

• ამორტიზაცია. ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია

ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე. არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი:
ბუღალტრული პროგრამა

მომსახურების ვადა:
10 წელი

მარაგები

კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები

სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან

დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

საპენსიო შენატანები

2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები

კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, შემოსავლები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა.

შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას. მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიწულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
 - ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
 - მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
 - არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ
- სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა - მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დაუმთავრე ბელი მშენებლობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვი ლობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპ ორტო საშუალე ბა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
საბალანსო ღირებულება								
ნაშთი 31.12.2020	12,627	477,885	106,008	258,455	2,435,092	215,583	26,571	3,532,220
შეძენა	44,644	-	2,500	-	11,018	-	-	58,162
გასვლა	(44,051)	(7,203)	(331)	(109,851)	(494,900)	-	(936)	(657,273)
ნაშთი 31.12.2021	13,220	470,681	108,177	148,604	1,951,211	215,583	25,635	2,933,110
შეძენა	35,289	-	1,102	-	-	-	-	36,391
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2022	48,509	470,681	109,279	148,604	1,951,211	215,583	25,635	2,969,501
ცვეთა								
ნაშთი 31.12.2020	-	(431,751)	(69,566)	(206,929)	(682,488)	(110,020)	(25,591)	(1,526,345)
პერიოდის ცვეთა	-	7,203	331	102,072	50,736	-	608	160,950
გასვლა	-	(38)	(10,470)	(19,099)	(63,708)	(16,753)	(570)	(110,638)
ნაშთი 31.12.2021	-	(424,586)	(79,705)	(123,956)	(695,459)	(126,773)	(25,554)	(1,476,032)
პერიოდის ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	(6,871)	(8,410)	(56,540)	-	-	(71,821)
ნაშთი 31.12.2022	-	(424,586)	(86,576)	132,366	(751,999)	(126,773)	(25,554)	(1,547,854)

5. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა	შენობა	ნაგებობა	სულ
საბალანსო ღირებულება				
ნაშთი 31.12.2020	27,941,548	27,941,548	27,941,548	83,824,644
შეძენა	-	44,051	-	44,051
გასვლა	(41,000)	-	(3,480)	(44,480)
ნაშთი 31.12.2021	27,900,548	11,221,715	85,002	39,207,265
შეძენა	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2022	27,900,548	11,221,715	85,002	39,207,265
ცვეთა				
ნაშთი 31.12.2020	-	(1,376,963)	(75,727)	(1,452,690)
გასვლა	-	-	2,781	2,781
ცვეთა	-	(244,564)	(3,181)	(247,745)
ნაშთი 31.12.2021	-	(1,621,527)	(76,127)	(1,697,655)
გასვლა	-	-	-	-
ცვეთა	-	(244,496)	-	(244,496)
ნაშთი 31.12.2022	-	(1,866,023)	(76,127)	(1,942,150)

6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლიცენზიები	პატენტები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
საბალანსო ღირებულება				
ნაშთი 31.12.2020	34,073	-	18,441	52,514
შეძენა	-	8,362	-	8,362
გასვლა	(34,073)	-	-	(34,073)
ნაშთი 31.12.2021	-	8,362	18,441	26,803
შეძენა	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2022	-	8,362	18,441	26,803
ცვეთა				
ნაშთი 31.12.2020	-	-	(10,850)	(10,850)
გასვლა	-	-	-	-
ცვეთა	-	-	(1,406)	-
ნაშთი 31.12.2021	-	-	(12,256)	(12,256)
გასვლა	-	-	-	-
ცვეთა	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2022	-	-	(12,256)	(12,256)

7. გრძელვადიანი ინვესტიციები

გრძელვადიანი ინვესტიციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გრძელვადიანი ინვესტიციები	31.12.2022	31.12.2021
შპს იზი ვაინ თბილისი	284,896	284,896
ააიპ ქართული ღვინის მუზეუმი	12,500	12,500
შპს თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი	-	16,607,123
შპს მეიდან ტური	100	100
	297,496	16,904,619

8. გრძელვადიანი მოთხოვნები

გრძელვადიანი მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გრძელვადიანი მოთხოვნები	31.12.2022	31.12.2021
შპს ბიზნეს ცენტრი მოზაიკა	-	639,713
შპს "ჯორჯიან მეტალ კომპანი"	10,000	10,000
	10,000	649,713

9. დარიცხული მოთხოვნები

დარიცხული მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დარიცხული მოთხოვნები	31.12.2022	31.12.2021
შპს ბიზნეს ცენტრი მოზაიკა	-	164,127
მისაღები პროცენტები შპს "ჯორჯიან მეტალ კომპანი"	13,921	13,921
	13,921	178,048

10. საგადასახადო აქტივები

საგადასახადო აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საგადასახადო აქტივები	31.12.2022	31.12.2021
საპენსიო გადასახდელი	7,847	1,613
გადასახდელი მოგების გადასახადი	122,730	122,730
გადასახდელი დღგ	-	60,207
გადახდილი დღგ	84,855	173
ჩაუთვლელი დღგ	6,778	6,823
ქონების გადასახადი	493,271	488,025
სხვა საგადასახადო აქტივები	8,061	7,963
	723,542	687,533

11. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	31.12.2022	31.12.2021
საქონელი	-	-
ნედლეული და მასალები	9,735	1,315
სხვა პროდუქცია	-	-
	9 735	1 315

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2022	31.12.2021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	333,870	410,527
მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ	16,144,673	19,827,603
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	147,689	145,067
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	6,670	6,670
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	-	1,300,992
	16,632,902	21,690,859

13. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფული და ფულის ექვივალენტები	31.12.2022	31.12.2021
ნაღდი ფული სალაროში	(0)	121
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	14,157	37,813
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	12,081	13,741
ფული სხვა საბანკო ანგარიშზე	4,945	5,565
	31,183	57,240

14. დარიცხული ვალდებულებები

დარიცხული ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დარიცხული ვალდებულებები	31.12.2022	31.12.2021
შპს "კალა 2005"	210,668	599,058
შპს მეიდანზე	-	-
შპს მეიდანია	-	-
	210,668	599,058

15. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საგადასახადო ვალდებულებები	31.12.2022	31.12.2021
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	473,210	444,628
გადასახდელი დღგ	14,296	-
სოციალური გადასახადი	465	465
	487,971	445,093

16. მოკლევადიანი სესხები

მოკლევადიანი სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მოკლევადიანი სესხები	31.12.2022	31.12.2021
მოკლევადიანი სესხები	-	208,115
	-	208,115

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	7,436,334	7,752,997
გადასახდელი ხელფასები	-	-
ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების წინაშე	1,675	1,675
	7,438,009	7,754,672

18. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება ოთხი ნაწილისგან, საწესდებო კაპიტალი, რომლის ნომინალური ღირებულებაა 10,199,676 ლარი, გადაფასების რეზერვი 26,207,524 ლარი, გაუნაწილებელი მოგება 31,894,608 და 1,841,815 ლარი საანგარიშგებო პერიოდის მოგება. 2022 წელს კომპანიამ მიიღო დამატებითი 15,005,111 ლარის ზარალი, რომელიც ნაშთშია წარმოდგენილი, როგორც მიმდინარე პერიოდის მოგების / (ზარალის) განყოფილება. 2022 წელს კომპანიის კაპიტალის წმინდა ღირებულება 70,143,624 ლარი იყო.

19. შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შემოსავალი რეალიზაციიდან	31.12.2022	31.12.2021
შემოსავალი იჯარიდან	3,056,980	1,959,970
შემოსავალი დამატებითი კომუნალურიდან	10,130	8,101
შემოსავალი ბუნებრივი რესურსების ამოღებიდან	-	17,085
შემოსავალი ელ.ენერგია	18,597	6,797
შემოსავალი ბუნებრივი აირი	6,575	406
შემოსავალი დიზელ-გენერატორის იჯარიდან	10,170	10,170
შემოსავალი წყალი	3,139	1,031
	3,105,590	2,003,558

20. მიწოდების ხარჯები

მიწოდების ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მიწოდების ხარჯები	31.12.2022	31.12.2021
რეკლამის ხარჯები	(1,032)	(703)
	(1,032)	(703)

21. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
შრომის ანაზღაურება	(775,956)	(904,588)
საპენსიო ხარჯები	-	(9,779)
საიჯარო ქირა	(167,596)	(143,681)
საკანცელარიო ხარჯი	(1,696)	(2,186)
დაზღვევა	(2,704)	(11,714)
ტაქსით მომსახურების ხარჯი	(1,990)	(2,490)
საწვავის ხარჯი	(21,098)	(29,807)
რემონტი	(109,421)	(24,265)
კომპიუტერის ხარჯები	(3,355)	(7,616)
საკონსულტაციო ხარჯები	(37,950)	(24,961)
ბანკის საკომისიო	(1,329)	(1,140)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(110,504)	(117,431)
სხვა საერთო ხარჯი	(29,032)	(33,615)
ჯარიმები	(18,359)	(2,562)
კომუნალური ხარჯი	(61,462)	(40,834)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(33,769)	(25,378)
სამეურნეო ხარჯი	(381)	-
საოფისე ხარჯი	(915)	-
	(1,377,518)	(1,382,048)

22. სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სხვა საოპერაციო შემოსავალი	31.12.2022	31.12.2021
სხვა საოპერაციო შემოსავალი	530,971	283,985
	530,971	283,985

23. მიღებული დივიდენდი

მიღებული დივიდენდი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მიღებული დივიდენდი	31.12.2022	31.12.2021
შპს გალერეა გვირაბი	29,000	20,000
	29,000	20,000

24. არასაოპერაციო შემოსავლები

არასაოპერაციო შემოსავლები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

არასაოპერაციო შემოსავლები	31.12.2022	31.12.2021
COVID-19 შეღავათი	11,000	32,927
სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურება	490	-
წილის რეალიზაციიდან შემოსავალი	-	2,103,098
	11,490	2,136,024

25. არასაოპერაციო ხარჯები

არასაოპერაციო ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

არასაოპერაციო ხარჯები	31.12.2022	31.12.2021
წილის რეალიზაცია თვითღირებულება	(16,607,123)	(413,926)
	(16,607,123)	(413,926)

26. საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საპროცენტო შემოსავალი	31.12.2022	31.12.2021
სს "ბაზისბანკი"	-	38
შპს ბიზნეს ცენტრი მოზაიკა	15,505	45,412
	15,505	45,450

27. საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საპროცენტო ხარჯი	31.12.2022	31.12.2021
შპს "კალა 2005"	(3,496)	(147,395)
ბაზის ბანკი 2016-12-30/0017/BSN/023933/006	(250)	-
	(3,746)	(147,395)

28. მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან

მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	31.12.2022	31.12.2021
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება	91,892	449,844
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	(481,325)	(789,493)
საბანკო გარანტია	(2,499)	(3,000)
კონვერტაციის ხარჯი (ბანკი)	-	(107)
	(391,932)	(342,757)

პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2021 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

29. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის

მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2022	დოლარი	ევრო	ლარი
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,728,462	-	13,904,440
ფული და ფულის ექვივალენტები	7,601	-	23,582
საინვესტიციო ქონება	-	-	37,265,115
გრძელვადიანი ინვესტიციები	-	-	297,496
დარიცხული მოთხოვნები	-	-	13,921
სულ ფინანსური აქტივები	2,736,064	-	51,490,633
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	7,438,009
დარიცხული ვალდებულებები	-	-	210,668
მოკლევადიანი სესხები	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	7,648,678
წმინდა პოზიცია	2,736,064	-	43,841,955
2021	დოლარი	ევრო	ლარი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,411,393	-	15,279,467
ფული და ფულის ექვივალენტები	-	-	57,240
საინვესტიციო ქონება	-	-	37,509,611
გრძელვადიანი ინვესტიციები	-	-	16,904,619
დარიცხული მოთხოვნები	-	-	178,048
სულ ფინანსური აქტივები	6,411,393	-	52,846,317
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	7,754,672
დარიცხული ვალდებულებები	-	-	599,058
მოკლევადიანი სესხები	-	-	208,115
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	7,754,672
წმინდა პოზიცია	6,411,393	-	45,091,645

30. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 10) მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენ საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

2022	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16,632,902	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები	31,183	-	-
საინვესტიციო ქონება	-	37,265,115	-
გრძელვადიანი ინვესტიციები	-	-	297,496
დარიცხული მოთხოვნები	-	-	13,921
სულ ფინანსური აქტივები	16,664,085	37,265,115	-
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	210,668	-	-
დარიცხული ვალდებულებები	7,438,009	-	-
მოკლევადიანი სესხები	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	210,668	-	-
წმინდა პოზიცია	16,453,417	37,265,115	-
2021	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	21,690,859	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები	57,240	-	-
საინვესტიციო ქონება	-	37,509,611	-
გრძელვადიანი ინვესტიციები	-	-	16,904,619
დარიცხული მოთხოვნები	178,048	-	-
სულ ფინანსური აქტივები	21,748,100	37,509,611	16,904,619
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,754,672	-	-
დარიცხული ვალდებულებები	599,058	-	-
მოკლევადიანი სესხები	208,115	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,754,672	-	-
წმინდა პოზიცია	13,993,427	37,509,611	16,904,619

31. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელს მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

	31.12.2022		31.12.2021	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16,632,902	16,632,902	21,690,859	21,690,859
ფული და ფულის ექვივალენტები	-	-	-	-
საინვესტიციო ქონება	37,265,115	37,265,115	37,509,611	37,509,611
გრძელვადიანი ინვესტიციები	297,496	297,496	16,904,619	16,904,619
დარიცხული მოთხოვნები	13,921	13,921	178,048	178,048
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,438,009	7,438,009	7,754,672	7,754,672
დარიცხული ვალდებულებები	210,668	210,668	599,058	599,058
მოკლევადიანი სესხები	-	-	208,115	208,115

32. დაკავშირებული მხარეები

33-ე განყოფილების მიხედვით კომპანია დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს:

პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი. დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებულ პირებთან გაცემული ხელფასები:

მენეჯმენტის ანაზღაურება (ქეთევან ხუროძე)	77,747	63,514
	77,747	63,514

სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან:

შპს მედიდანზე	2022	2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,662,073	6,986,986
შპს მედიდანია	2022	2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,667,879	6,025,897
საწესდებო კაპიტალი	(663,193)	(663,193)

ქართული ღვინის მუზეუმი	2022	2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	44,200	10,016
გრძელვადიანი ინვესტიციები	12,500	12,500

33. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.